ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 25 თებერვალი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მალხაზი იოსავა
10. ია ჯიშკარიანი
11. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 თებერვლის N50-502205122 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 თებერვლის N50-502205122 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2021 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს. დადგენილების პროექტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს არა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N3 დადგენილება, არამედ „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს

საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად .

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ქავთარაძე